სათაური: ძალადობასთან დაკავშირებული მითები

მოკლე აღწერა/მიმოხილვა

ძალადობა ახალგაზრდულ ურთიერთობებში ზოგიერთი ახალგაზრდისათვის მათი ყოველდღიური ურთირთდამოკიდებულებებისა და სოციალური ქსელების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ხშირად ახალგაზრდებს, როდესაც ისინი თავიანთ პირველ ემოციურ/სექსუალურ ურთერთობებში შეაბიჯებენ აკლიათ ის უნარ-ჩვევები და ცოდნა, რომელიც საჭიროა პარტნიორთან სრულყოფილი ურთერთობის დასამყარებლად. ასევე მათ ძალადობრივი ქცევის ნიშნების ამოცნობა და მასზე ზემოქმედება არ ძალუძთ. მოცემული აქტიობა ადაპტირებულია CESI-ის სახელმძღვანელოდან: „უმჯობესია სიფრთხილე ვიდრე სინანული: ახალგაზრდულ ურთერთობებში ძალადობის პრევენცია“ (Better Safe than Sorry: Preventing of teen-dating violence (Cesar, S., Bijelić, N., Kobaš, V., Hodžić, A. (2006).Croatia: CESI)

თემა: ძალადობა ქალთა მიმართ, სექსუალური ძალადობა

დრო: 40 წთ.

ჯგუფის ზომა: 12 -25 მონაწილე

მიზანი:

ძალადობასთან დაკავშირებულ მითებში გათვითცნობიერება

საჭირო მასალები:

- სამუშაო ფურცლები ახალგზარდებისათვის: „ძალადობასთან დაკავშირებული წარმოდგენები“
- კალმისტრები
- დასარიგებელი მასალა „ფაქტები ძალადობის შესახებ“

ნაბიჯ-ნაბიჯ

დაურიგეთ მონაწილეებს სამუშაო ფურცლები: „ძალადობასთან დაკავშირებული წარმოდგენები“. აუხსენით მათ, რომ აქ მოცემულია ძალადობასთან დაკავშირებით არსებული წარმოდგენების ჩამონათვალი. თითოეულმა მონაწილემ უნდა განსაზღვროს - მოცემული დებულებები წარმოადგენენ მითებს (ანუ მცდარ წარმოდგენებს) თუ ფაქტებს. თუ ისინი ფიქრობენ, რომ რომელიმე დებულება წარმოადგენს მითს, მაშინ მათ უნდა დაწერონ შესატყვისი რეალური ფაქტი. პასუხი უნდა ჩამოიწეროს სამუშაო ფურცელზე.

მას შემდეგ, რაც მონაწილეები შეავსებენ სამუშაო ფურცლებს, განიხილეთ ჯგუფში თითოეული მითი, წარმოადგინეთ ისინი ფაქტებთან ერთად, თუკი მონაწილეები არ იცნობენ მათ. (ამისათვის გამოიყენეთ დასარიგებელი მასალა „ფაქტები ძალადობის შესახებ“).

განხილვა და შეფასება

მონაწილეები გაიგებენ ძალადობასთან დაკავშირებული წინასწარწმენების (prejudices) შესახებ და ეცოდინებათ მითებს მიღმა არსებული ფაქტები.

რჩევები ფასილიტატორს

დისკუსიის შემდეგ შეგიძლიათ მონაწილეებს დაურიგოთ დასარიგებელი მასალა „ფაქტები ძალადობის შესახებ“.

დასარიგებელი მასალა

სამუშაო ფურცლები: „რწმენები ძალადობის შესახებ“

1. მოძალადე არის უცნობი მანიაკი ბნელ მოსახვევებში.
2. ზოგჯერ მსხვერპლი დამნაშავეა მასზე განხორციელებულ სექსუალურ ძალადობაში.
3. გაუპატიურების მსხვერპლები ხშირად ახალგაზრდა და მომხიბლავი ქალები არიან.
4. ალკოჰოლ და წამალ დამოკიდებულება ძალადობის მიზეზია.
5. ქალები ისეთივე მოძალადეები არიან როგორც მამაკაცები.
6. მოძალადე მამაკაცებს თავიანთი თავის შველა არ შეუძლიათ.
7. ძალადობა და სიყვარული ხელიხელჩაკიდებულები არ დადიან.
8. თუკი მსხვერპლი მიატოვებს მოძალადეს, ძალადობა დასრულდება.
9. როცა ორი ახალგაზრდა ერთმანეთს ხვდება, ვერ ვიტყვით გაუპატიურებას ქონდა თუ არა ადგილი.
10. მამაკაცები არ შეიძლება იყვნენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლები.

დასარიგებელი მასალა: ფაქტები ძალადობის შესახებ

1. ზოგჯერ სექსუალურ ძალადობას ახორციელებენ პარტნიორები, მეგობრები, ნათესავები, ნაცნობები ან მეზობლები. გაუპატიურება ხშირად ხდება სახლში და ის წინასწარაა დაგეგმილი.
2. მსხვერპლი არასოდეს არ არის დამნაშავე ძალადობაში, მიუხედავად მისი ჩაცმულობისა, ქცევისა ან ღამით გარეთ სიარულისა. არავის სურს იყოს გაუპატიურებული. პასუხისმგებლობა და ბრალი მოძალადეს ეკისრება.
3. ნებისმიერი ქალი შეიძლება აღმოჩნდეს გაუპატიურების მსხვერპლი, მიუხედავად მისი გარეგნობისა, ასაკისა, ჩაცმულობისა ან ქცევისა. სექსუალური ძალადობა არის ძალაუფლებისა და კონტროლის აქტი და არავითარი კავშირი არა აქვს სექსუალურ მიმზიდველობასთან. მოძალადეები ირჩევენ მსხვერპლს, რომელსაც მათზე ნაკლები ძალაუფლება აქვთ.
4. ალკოჰოლი და ნარკოტიკი არ არის ძალადობის მიზეზი, რადგან ძალადობა მაშინაც ხდება, როდესაც არ მოქმედებს ეს ფაქტორები.
5. მოძალადეები უფრო ხშირად მამაკაცები არიან. მამაკაციც და ქალიც შეიძლება იყოს აგრესიული, მაგრამ უფრო ნაკლებია იმის ალბათობა, რომ ქალმა განახორციელოს ძალადობა. მამაკაცები უფრო ხშირად ავლენენ ფიზიკურ აგრესიას და უფრო დიდი ალბათობით შეუძლიათ ფიზიკური დაზიანების მიყენება.
6. მოძალადე მამაკაცებს არ ძალუძთ თავიანთი ქცევის კონტროლი და ამიტომ საჭიროებენ პროფესიულ დამხარებას. ძალადობრივი ქცევა არის სტრესთან, ბრაზთან, შიშთან და იმედგაცრუებასთან გამკალავების არაშესატყვისი საშუალება.
7. ფართოდ გავრცელებული აზრია, რომ სიყვარული და ძალადობა იმდენად განსხვავებულნი არიან, რომ ვერ იქნებიან ორ ადამიანს შორის ურთერთდამოკიდებულების შემადგენელი ნაწილები. მაგრამ რეალობა სხვაგვარად გამოიყურება, რადგან ძალიან ადრეული ასაკიდან ზოგიერთი ბავშვი სწავლობს იმას, რომ უფროსები, რომლებსაც ჩვეულებრივ უყვართ ისინი, ასევე ფიზიკურად სჯიან მათ.
8. მსხვერპლის მიერ ძალადობრივი ურთერთობის დატოვებით ძალადობა არ სრულდება. ეს მითი გულისხმობს იმას, რომ ქალს შეუძლია მის მიმართ განხორციელბული ძალადობის კონტროლი და იმასაც, რომ თუ მას სურს ძალადობის დასრულება, მას შეუძლია „უბრალოდ მიატოვოს“ მოძალადე. ეს ასევე გულისხმობს იმასაც, რომ ის არის სიტუაციაზე პასუხისმგებელი. ქალებს არ გააჩნიათ საკმარისი მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან მაშინ, როდესაც მათ ძალადობრივი ურთერთობის დასრულება სურთ.
9. გაუპატიურება არის გაუპატიურება, მიუხედავად მოძალადესა და მსხვერპლს შორის ურთერთდამოკიდებულების ხასიათისა. მოძალადეთა უმრავლესობა მსხვერპლისთვის ნაცნობი ადამიანია. ახალგაზრდობის პერიოდში ძალადობის შემთხვევების 70%-ში მოძალადეები არიან ან პარტნიორები ან ყოფილი პარტნიორები.
10. მამაკაცებიც შეიძლება აღმოჩნდნენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლები. ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 9-დან 1 მამაკაცს გამოუცდია არასასურველი ან იძულებითი სექსუალური აქტი თვისი ცხოვრების განმავლობაში. ასეთ შემთხვევებში მოძალადეები არიან მამაკაცები.